<table>
<tr><td>სკოლის დასახელება</td><td colspan="2">შპს „მეექვსე საავტორო სკოლა“</td></tr>
<tr><td>მასწავლებელი</td><td colspan="2">ნინო ქადაგიძე</td></tr>
<tr><td>ნაწყვეტი წიგნიდან</td><td colspan="2">„ძმები ლომგულები“ - ასტრიდ ლინდგრენი - პირველი თავი</td></tr>
<tr><td>სწავლების საფეხური/კლასი</td><td colspan="2">მეხუთე კლასი</td></tr>
<tr><td>მისაღწევი შედეგები</td><td colspan="2">მხატვრული ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან შეჯერების საფუძველზე:
ტექსტის მთავარი იდეის, ძირითადი თემის ამოცნობა;
მთლიანად ნაწარმოების ან პერსონაჟის განწყობის ამოცნობა;
ნაწარმოებში მომხდარი ამბის, აგრეთვე პერსონაჟის მდგომარეობის ან მოქმედების მოტივის ამოცნობა;
საკუთარი ცოდნისა და ტექსტში მოცემული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისგან გარჩევა;
გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა და ლოგიკურად ჩამოყალიბება;
ტექსტის ენისა და მხატვრული ხერხების გააზრება: ა) რეალურსა და შეთხზულს შორის განსხვავების დანახვა, მხატვრული ჟანრების ამოცნობა. ბ) მხატვრულ ტექსტში გამოსახვის საშუალებათა (დიალოგის, აღწერის, დახასიათების), აგრეთვე მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების, გაპიროვნების) ამოცნობა.</td></tr>
<tr><td>წინასწარი ცოდნა</td><td colspan="2">მოსწავლეებს აქვთ ტექსტის დამოუკიდებლად კითვის გამოცდილება, ასევე მოსმენა-გააზრების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პრობლემაზე მსჯელობის, ასევე მცირე თხზულების შექმნის უნარები.</td></tr>
<tr><td>აქტივობის თანმიმდევრობა და დრო</td><td colspan="2">135 წუთი</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1</td><td>აქტივობის აღწერა
ა) მოტივაცია - მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ იწვევს მოსწავლეებს, გაიხსენონ რა იციან ასტრიდ ლინდგრენის შესახებ, წაუკითხავთ თუ არა მისი ნაწარმოებები. (შესაძლებლობის მიხედვით, აჩვენებს ფოტოს, ვიდეო მასალას თემის ირგვლივ, პასუხობს მოსწავლეთა შეკითხვებს.
ბ) ტექსტის წაკითხვისა და ანალიზის შემდეგ (ინდივიდუალურად და წყვილებში) მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და სთხოვს, ჯერ ინდივიდუალურად წაიკითხონ ტექსტი, შემდეგ აბზაც-აბზაც წყვილებში და შეავსონ კომენტარების წიგნაკი. მოსწავლეები ამოწერენ აბზაციდან რაიმე წინადადებას, რაც მათ ჩათვალეს საჭიროდ და დაურთავენ კომენატრს.
გ) რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ, ადარებენ მოსწავლეთა მოსაზრებებს, რამდენად ლოგიკური იყო პასუხები.</td><td>აქტივობის მიზანი
მოსწავლეები შეძლებენ ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნას, ტესტიდან უშუალო დასკვნების გამოტანას, ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებას. ტექსტის ენისა და მხატვრული ხერხების გააზრებას.</td></tr>
</table>

აქტივობა 2	აქტივობის აღწერა ა) გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლის დახმარებით იხსენებენ თუ შეხვედრიათ რაიმე უცნაური სიტყვა ასტრიდის ნაწარმოებებში, მაგალითად გაიხსენებენ პეპის ფუსუსუნას, ან უცნაური დასახელების ქვეყნებს მაგ: „სალამურას თავგადასავალიდან“ ქონდარეთის აღმოსავლეთით, მეცხრე მთას, სადაც სალამურა მწყემსავდა ჭიამაიებს და ციცინათელების ქვეყანას, ასევე შეიძლება დაასახელონ ირმა მალაციძის „სატკბილეთის ქვეყანა“, ჯანი როდარის „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“ან „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ და.შ... ამ ჩვენს კონკრეტულ ტექსტში ვიპოვოთ წინადადება, თითქოს ყველამ იცოდა სად იყო ქვეყანა ნანგიალა..... ბ) თითოეული მოსწავლე მოსწავლის რვეულში წერს და აღწერს როგორი წარმოუდგენია მას ქვეყანა „ნანგიალა“, მართლა არსებობს თუ არა, ასაბუთებენ, ურთავენ ილუსტრაციებს. ასევე წერენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ სიტყვის მიმართ, რას შეიძლება აგონებდეთ, ან მათთვის რასთან ასოცირდება სიტყვა „ნანგიალა“. თუ აქვთ თავად რაიმე საიდუმლო ქვეყნის სახელი, ან სულაც საიდუმლო სიტყვა, რომელიც არასდროს არავის სმენია, თუ აქვთ სურვილი გაგვანდონ, რა სიტყვაა, ან რა ფერია, რა გემო შეიძლება ჰქონდეს ამ სიტყვას და.შ.... გ) აკეთებენ პრეზენტაციას.	აქტვობის მიზანი მოსწავლეები დაწერენ ჩანახატებს, მცირე ზომის მხატვრულ ტექსტებს, განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი,დალაგებულად გადმოსცემენ აზრს, გამოთქვამენ თვალსაზრისს თემის ირგვლივ და შეაჯამებენ თემას, გამოავლენენ თავიანთი ფანტაზიის უნარს.

აქტივობა 3	აქტივობის აღწერა ა) დაფაზე ჩამოწერილია სიტყვები: დედა, მამა, ძმა, და, ბებია, ბაბუა, ბიძა, დეიდა, მამიდა და ა.შ.... სასურველია დართული ჰქონდეს ნახატებიც.... თითოეული მოსწავლე სურვილის მიხედვით პასუხობს მასწავლებლის შეკითხვებს თუ რას შეიძლება გვახსენებდეს ეს სიტყვები? შენს ოჯახში რამდენი წევრია? ვინ არიან? რას ეძახით ერთმანეთს მოფერებით, თუ გაქვთ განსაკუთრებული მოსაფერებელი სიტყვები, როგორ მიმართავთ ერთმანეთს? რას გეძახიან შენ? ჩვენი კონკრეტული ტექსტის მიხედვით რას ეძახდა კარლს თავისი ძამიკო ჯონათანი? ბ) სკორპა - შვედური ორცხობილა. როგორ წარმოგიდგენიათ რანაირი შეიძლება იყოს შვედური ორცხობილა? ა) მოდით მოვიფიქროთ რეცეპტი, სკოლის სამზარეულოში გამოვაცხოთ და დავაგემოვნოთ. ბ) ან შეიძლება წინასწარ მასწავლებელმა დავალებად მისცეს წინა დღეს მოიფიქრონ და შინ გამოაცხონ, სურვილის შემთხვევაში მოიტანონ კლასში და ერთმანეთს გაუნაწილონ. გ) ასევე თავად მასწავლებელმა შეიძლება მოიტანოს უკვე შინ გამომცხვარი შვედური დარიჩინის ფუნთუშები და სიურპრიზი მოუწყოს ბავშვებს გაკვეთილზე, შესაძლებელია ერთადაც დააგემოვნონ. აი, რეცეპტიც: ინგრედიენტები ცომისათვის: 500 გრ. ფქვილი 80 გრ. კარაქი 280 მლ. რძე 1 ს. კოვზი საფუარი 1/2 ჩ. კოვზი მარილი 1 ჩ. კოვზი ილი 100 გრ. შაქარი ინგრედიენტები გულსართისათვის: 150 გრ. კარაქი 150 გრ. შაქარი1 ს. კოვზი დარიჩინი მომზადების წესები:ფქვილს შევურიოთ ილი და მარილი.ცალკე ჯამში ჩავასხათ რძე,ჩავყაროთ შაქარი და ჩავაგდოთ კარაქი. ჯამი შემოვდგათ დაბალ ცეცხლზე, გამუდმებით ვურიოთ და როგორც კი კარაქი გადნება გადმოვდგათ.სითხე გავაგრილოთ 37 გრადუსამდე, გავხსნათ მასში საფუარი, 5-10 წუთი ვაცადოთ გააქტიურება, შემდეგ დავუმატოთ ფქვილი, მოვზილოთ ცომი. ცომი გადმოვიტანოთ ფქვილმოყრილ მაგიდაზე და ვზილოთ 10 წუთი, შემდეგ გადავაფაროთ ტილო და ვაცადოთ ამოფუება. ცალკე ჯამში ერთმანეთს შევურიოთ კარაქი, დარიჩინი და შაქარი.	აქტივობის მიზანი მოსწავლეები გაიაზრებენ კიდევ ერთხელ რა არის ოჯახი, რა ვალდებულებები აქვთ ოჯახის წევრებს ერთმანეთის მიმართ, როგორ ზრუნავენ და ეფერებიან ერთმანეთს, როგორ ანუგეშებენ და ამშვიდებენ განსაცდელსა და მხიარულებაში. როგორ უდგანან ერთმანეთს გვერდით, თანაუგრძნობენ და ა.შ...